ფონდი ოპისი საქმე ფურცელი

287 1 129

დასკანირებულია
16.01.2025

287 1 129

1958, № 140

16/VII

სჯაჭინელი (ჭიათურა)

# მეთოდიკური სახელმძღვანელოს განხილვა

როგორც ჩვენი გაზეთების მკითხველებმა იციან, „სტალინელის“ მიმდინარე წლის 28 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა დოც. მ. მახათაძის წერილი სათაურით „საჭირო შენიშვნები“, რომელიც ეხებოდა დოც აკ. თოფურიას წიგნს „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკა“.

მ. მახათაძის წერილში გამოთქმული იყო შენიშვნები სარეცენზიო წიგნში განხილული მეთოდიკური საკითხების გარშემო. ზოგი წიგნის ავტორმა არ გაიზიარა.

ამასთან დაკავშირებით რედაქციაში მოეწყო ა. თოფურიას წიგნის საფუძვლიანი განხილვა, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მეცნიერ მუშაკებმა და სკოლების ქართული ენისა და ლიტერატურის პრაქტიკოსმა პედაგოგებმა.

განხილვისას აღინიშნა, რომ მ. მახათაძის წერილში სამართლიანად არის მითითებული სარეცენზიო ნაშრომის ზოგიერთი ნაკლის შესახებ. მაგრამ ამასთან მასში არასაკმაოდაა გაშუქებული წიგნის დადებითი მნიშვნელობა და კრიტიკული შენიშვნები გამოთქმულია მეტად კატეგორიული ტონით.

გამოითქვა აზრი იმის შესახებ, რომ ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდების განხილვისას ა. თოფურია ეყრდნობა ცნობილ საბჭოთა მეცნიერ მეთოდისტთა შეხედულებებს.

სარეცენზიო წიგნში, თუმცა არასაკმაოდაა გადმოცემული, მაგრამ იგნორირებული არ არის ქართული ლიტერატურის მოწინავე მასწავლებელთა ბუშაობის გამოცდილება.

თათბირზე განხილულ იქნა ავრეთვე ნაშრომსა და რეცენზიაში აღძრული მთელი რიგი სხვა საკითხები, რომელთა შესახებ პრაქტიკოსმა მასწავლებლებმა გამოთქვეს საქმიანი მოსაზრებანი.

ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის კონკრეტული საკითხები ჯერ კიდევ სრულყოფილად არ არის დამუშავებული, რაც მოითხოვს ამ დარგის სპეციალისტების ერთობლივ ინტენსიურ მუშაობას. როგორც განხილვისას აღინიშნა, ამ მხრივ ა. თოფურიას წიგნი მნიშვნელოვანი მოვლენაა და იგი დიდ დახმარებას გაუწევს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს.

# ახალგაზრდა არქიტექტორის წარმატება

ჩვეულებრივად დილიდანვე ხალისიანად დაიწყო სამუშაო დღე ქალაქმშენსახპროექტის ქუთაისის ფილიალში... დირექტორის კაბინეტში შედის შუახნის, ოდნავ თმაშეთეთრებული ინჟინერი, № 4 საერთო სამშენებლო ტრესტის საწარმოო-საგეგმო განყოფილების უფროსი შალვა ნესტორის-ძე გამყრელიძე, რათა დამპროექტებელ ორგანიზაციასთან ერთად განიხილოს ახალი ტიპის მსხვილბლოკებიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის გრაფიკი.

ქალაქმშენსახპროექტის დირექტორმა ქ. დგებუაძემ ახალი პროექვილბლოკიანი საცხოვრებელი სახლი.

ასეთი სახლის მშენებლობა ქუთაისის სინამდვილეში პირველი იქნება, რადგან იგი უნდა აშენდეს რკინა-ბეტონის ასაკრეფი კონსტრუქციით. ეს კი დიდ სიძნელეების წინაშე აყენებდა პროექტის ავტორს გ. თოდაძეს.

დღეს თუ ისევ ამ პროექტის ირგვლივ მსჯელობენ, ეს იმიტომ, რომ დაწვრილებით და თანმიმდევრობით განიხილონ მშენებლობის სხვადასხვა საკითხები, ხარჯთაღრიცხვა... ახლა კი გაბედულად მიულოცეს მორიგი გამარჯვება გივი თოდაძეს.

ბევრი ასეთი გაობისა და სტუდენტთა მე-6 მსოფლიო ფესტივალზე მოწყობილ ახალგაზრდა არქიტექტორთა ნამუშევრების დათვალიერებაში მცირე არქიტექტურული ფორმის, კერძოდ ქუთაისის ცენტრალური ბაღის შადრევნის და წყალტუბოს არქიტექტურული მცირე ფორმების პროექტის შექმნისათვის საპატიო სიგელი დაიმსახურა.

მისი შემოქმედებითი ნიჭისა და უნარის შესახებ ლაპარაკობს დღემდე მისი პროექტით შესრულებული მოქანდაკეების ვ. მიზანდარისა და გ. ნიკოლაძის ვ. ვ. მაიაკოვსკის ძეგლი-კვარ-